ჩინეთის გეოგრაფია მოკლედ და რამდენიმე უცნობი ფაქტი მრავალეროვანი ჩინეთის შესახებ

ავტორი ლევან ალფაიძე

“როცა ერმა ბევრი იცის, მისი მართვა რთულია“ ,
ლაო ძი (‘მოხუცი ოსტატი“), ძვ.წ. VI საუკუნის ჩინელი ფილოსოფოსი,
დაოსიზმის ფუძემდებელი, „დაო დე ძინის“ ტრაქტატის ავტორი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აგრძელებს თავისი ეკონომიკურ „სასწაულს“ და კიდევ ერთხელ აოცებს მსოფლიოს. გერმანიის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს, „დოიჩე ველეს“ (Deutsche Welle – DW, 04/16/2024) მიხედვით, ჩინეთის ეკონომიკა 2024 წელს უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ამას ოფიციალური წყაროები პროგნოზირებდნენ: „მიმდინარე წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით, ჩინეთის მთლიანი შინა პროდუქტი (მშპ) 5.3%-ით გაიზარდა და ეს მნიშვნელოვნად აღემატება , „ბლუმბერგის“ (Bloomberg) ანალიიკოსების მიერ გაკეთებულ ადრეულ 4.8%-იან მაჩვენებელს“, გვატყობინებს „დოიჩე ველე“. „ეროვნულმა ეკონომიკამ გააგრძელა კარგი ინერციით მოძრაობა და ნახტომისებურად მოიმატა“, წერს ჩინეთის სტატისტიკის ეროვნული ბიურო. დღევანდელი ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, არსებული საბაზრო წესების აქტიური კრიტიკოსი, გერმანელი პროფესორი იზაბელა მ. ვებერი (ამჰერსტის უნოვერსიტეტი, აშშ) თავის გახმაურებულ წიგნში „როგორ გადაურჩა ჩინეთი შოკურ თერაპიას: კამათი საბაზრო რეფორმის შესახებ“ (How China Escaped Shock Therapy: The Market Reform Debate), მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ჩინეთის გეოგრაფიაზე და ჩინეთში შექმნილ, კლასიკურ, ორი ათასი წლის ასაკის მქონე ეკონომიკურ პრინციპებზე, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, თანამედროვე ბაზარზე ფასების კონტროლის მექანიზმებსაც ეხმიანება.

შეგახსენებთ რომ ე.წ. „შოკური თერაპია“, გულისხმობს რომ ეკონომიკაში საერთოდ უნდა შეწყდეს ფასების კონტროლი და გეგმიური ეკონომიკა და აუცილებელია ფასების „შოკური“ ლიბერალიზაცია, ძალიან მოკლევადიანი, უცბად ჩატარებული პროვატიზაცია. მიუხედავად იმისა რომ ასეთი „შოკი“ აუცილებლად გამოიწვევს ეკონომიკურ ტკივილს, რაც გამოიხატება მასობრივ უმუშევრობასა და ინფლაციაში, ლიბერალური ბანაკის ეკონომისტების მოსაზრებით (და ღრმა რწმენით, ლ.ა.), ეს მეთოდები შედეგად მოგვცემს ეკონომიკის აღდგენას, გააქტიურებულ ბაზრებსა და კეთილდღეობას. წარსულში, „შოკური თერაპია“, მე-20 საუკუნის 60-იანი წლების გერმანიის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის) „ეკონომიკური სასწაულის“ შესავალი-პროლოგი გახდა და დიდი ეფექტი მოახდინა მსოფლიოს ეკონომიკის თეორიებზე. თუმცა გავიდა დრო და რამდენიმე ათწლეულში, „შოკური თერაპიის“ გავრცელებულმა პრაქტიკებმა ეკონომიკური კატასტროფა გამოიწვიეს რუსეთში, საქართველოში და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. ჩინეთის ლიდერებმა „შოკური თერაპიული“ მიდგომები დიამეტრულად

შეცვალეს და „ჩინური კაპიტალიზმის“, ან „კაპიტალიზმის ჩინური ვარიატის“ ასამოქმედებლად, ტრადიციული ჩინური, „გუანსის“ (关系 – „ახლო ურთიერთობების სისტემა“, ლ.ა.) ურთიერთობებისა და უერთიერთდამოკიდებული საქმიანობის უძველესი ეკონომიკური პრინციპები გამოიყენეს. როგორც პროფ. ვებერი გვეუბნება, „გუანსის“ ფილოსოფიური მიდგომები „ავალებს“ ადმინისტრატორებს აკონტროლონ ის რაც „მძიმეა“ (მნიშვნელოვანია) და „მიუშვან“ ის სფეროები და საკითხები, რაც არ ახდენს დიდი გავლენას საზოგადოებრივ სტაბილურობაზე (უმნიშვნელო თუ პერიფერიულია)“.
ჩინეთის ეკონომიკური წინსვლისა და ზრდის კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორია მისი მრავალფეროვანი ბუნება და გეოგრაფია, რაც ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩინეთის ეკონომიკის მრავალვექტორულ მიმართულებებსა და მასშტაბურობაში. ქვემოთ გთავაზობთ მოკლე ცნობებს ჩინეთის გეოგრაფიის შესახებ:
ჩინეთს აღმოსავლეთი და ცენტრალური აზიის კონტინენტის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (ჩინ. ‘ჟონგუო’), მსოფლიოს მესამე ქვეყანაა ფართობით, რუსეთის ფედერაციისა და კანადის შემდეგ. მისი ტერიტორიის ფართობი 9.6 მილიონ კვ. კმ-ს შეადგენს რაც აზიის კონტინენტის ¼-ის ტოლია!
ჩინეთის ლანდშაფტის მრავალფეროვნება სრულიად ბუნებრივია: ეს გახლავთ უზარმაზარი ქვეყანა, რომელიც გადაჭიმულია ხუთი ათას ხუთას კილომეტრზე, ციმბირული მდინარე ამურიდან, პალმებით გადამწვანებულ სამხრეთი ჩინეთის კუნძულებამდე; ჩინეთის უკიდურესი დასავლეთი, პამირის თოვლიანი უღელტეხილებიდან მდინარე ხუანხეს შესართავამდეა გადაჭიმული, შანდუნის ნახევარკუნძულამდე. ჩინეთის სახმელეთო საზღვრების საერთო სიგრძე 20 000 კმ-ს აჭარბებს (!), ხოლო ჩინეთის საზღვაო სანაპირო ზოლის სიგრზე 18 000 კმ-ია (შედარება: საქართველოს სანაპირო ზოლი შავ ზღვაზე დაახლოებით 315 კმ-ია, ლ.ა.). ჩინეთი სახმელეთო მეზობლები არიან რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ავღანეთი, ინდოეთი, ნეპალი, ბჰუტანი, ლაოსი, ვიეტნამი, ჩრდილოეთი კორეა, მონღოლეთი და მიანმა.
ჩინური პეიზაჟისთვის ბუნებრივი და ჩვეულებრივია 8 000 მეტრი სიმაღლის მწვერვალები ჰიმალაებში და გობისა და თაკლა-მაკანის უდაბნოების ბარხანები და ქვიშები; აღმოსავლეთ ჩინეთის დაბლობის უსაზღვრო მწვანე საძოვრები და მდინარეების ვიწრო, კლდოვანი ხეობები, აჭრელებულნი ბრინჯის ყანებისა და ჩაის პლანტაციების მწანე ტერასებით. ჩინეთში მიედინება ლიოსით გაყვითლებული მდინარე-გიგანტი, ხუან-ხე („ყვითელი მდინარე“) და ჩინეთისა და მსოფლიოს ერთ-ერთი უგრძესი მდინარე იანძი (ჩინ. ‘ჩანგ-ცზიანი’ – „გრძელი მდინარე“, ლ.ა.), რომელიც სათავეს ტიბეტის ზეგანზე, 5 170 მ-ის სიმაღლეზე იღებს და ქ. შანჰაიში უერთდება აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვასა და წყნარ ოკეანეს.
ჩინეთის დიდი ზომიდან გამომდინარე, მისი პროვინციები და იქაური ლანდშაფტები დიდად განსხვავდებიან. ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი (ყოფილი მანჯურია) დაბლობის ვაკეებისგან და დაბალი სიმაღლის მთებისგან შედგება. ქვეყნის ამ ნაწილისთვის დამახასიათებელია უხვთვლიანი, მკაცრი ზამთარი და მშრალი, ცხელი ზაფხული. ჩინეთის სახმხრეთ-აღმოსავლეთი ცნობილია ტრადიციული, დიდი ზომის სამრეწველო საწარმოებით რომლებიც დაკავშირებულნი არიან ქვანახშირის მოპოვებასთან და რკინის მადნის მოპოვება-გადამუშავებასთან. აქვე მდებარეობენ ჩინეთის მთავარი ფოლადსადნობი ქარხნები და კომბინატები.
ჩინეთის დასავლეთისკენ მოგზაურობისას, მთაგორიანი რელიეფი უკიდეგანო სტეპებით იცვლება. დღეს ამ ადგილებზე ბალახობენ ცხვრის, ცხენებისა და აქლემების

მრავალმილიონიანი ფარები და რემები. კიდევ უფრო დასავლეთით, კუნ-ლუნისა და ტიან-შანის მთიანი მასივების 7000-მეტრიან მწვერვალებამდე მდებარეობს ჩინეთის უდიდესი უდაბნო, თაკლა-მაკანი, რომლის ფართობი 330 000 კვ. კმ-ს აღემატება (ეს მეტია ვიდრე ისეთი ქვეყნების ფართობი როგორებიცაა პოლონეთი, ახალი ზელანდია, ვიეტნამი, ომანი, იტალია, ფილიპინები, ბელარუსი და ნორვეგია, ლ.ა.). თაკლა-მაკანის უდაბნოში მიედინება მსოფლიოს ყველაზე უცნაური მდინარე ტარიმი, რომელიც სათავიდან მძლავრად შედის უდაბნოში და შემდგომ მის ქვიშები იკარგება და პერიოდულად ასაზრდოებს ხან ლობნორის, ხან კი – ყარაბურან-გიოლის ტბებს, ჩინეთის უკიდურეს დასავლეთში მდებარე, სინცზიან-უიგურების ავტონომიურ ოლქში. სწორედ მდ. ტარიმის ჩრდილოეთით მდებარეობდა სახელგანთქმული „აბრეშუმის დიდი საქარავნო გზა“ (ჩინ. ს’-ლუ – 丝路), რომელიც ჩინეთს, ცენტრალურ აზიასთან და ევროპასთან აკავშირებდა.
ჩინეთის კიდევ ერთ დიდ სიმდიდრესა და რესურსს წარმოადგენს ჩინეთის აღმოსავლეთით მდებარე დაბლობზე მდებარე ნაყოფიერი, ცენტრალური ჩინეთის ლიოსური ზეგანის მდინარეული დანალექი ქანებით აგებულის ვრცელი ვაკეები, რომელთა სიგანე, ზოგიერთ პროვინციაში, 500 კმ-ს აღწევს. სწორედ ეს რაიონებია ჩინეთის ინტენსიური და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის ზონა, რომელიც ქვეყნის მილიარდნახევრიან მოსახლეობას ამარაგებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით.
ჩინეთის ცენტრალური და სამხრეთი რაიონები, უმეტესწილად ჩინეთის დიად მდინარესთან, იანძისთან (ჩინ. ‘ჩანგ-ცზიანი’) არიან დაკავშირებულნი. „გრძელი მდინარე“, ჩინეთის ცენტრისა და სამხრეთის მთავარი საწყალოსნო და სატრანსპორტო არტერიასა და მძლავრი ჰიდროელექტოსადგურების კასკადს წარმოადგენს და მისი როლი და მნიშვნელობა ჩინური ცივილიზაციისთვის, განუზომელია. მდინარე იანძი ქვეყანას თითქმის შუაზე ჰყოფს.
იანძის ჩრდილოეთით მდებარეობს ჩინეთის დიდი დაბლობი, რომელზეც მიედინება ჩინეთის მეორე დიადი მდინარე, ჰუანხე („ყვითელი მდინარე“). ამ მდინარის პირას მცხოვრებნი (მდ. ჰუანხე ჰკვეთს ჩინეთის შემდეგ პროვინციებს: ცინგჰაი, განსუ, ნინგსია, შიდა მონღოლეთი, შაან-სი, შანსი, ხე-ნანი და შან-დუნი, ლ.ა) ათასწლეულების განმავლობაში აგებდნენ კაშხლებსა და დამბებს, რომელბიც აუცილებელი იყო მდ. ჰუანხეს დამანგრეველი წყალდიდობებისგან, ბრინჯისა და ბოსტნეულის ნაკვეთების დასაცავად. საუკუნეების განმავლობაში, გლეხების მიერ აგებული კაშხლები და დამბები მუდმივად მატულობდა სიმაღლეში და მდინარის კალაპოტის ქვიშით გავსებასთან ერთად, მატულობდა მდინარის კალაპოტის სიმაღლეც! დღეს, მდინარე ხუანხე, გარშემო მდებარე დაბლობზე მაღლა მდებარეობს და მთებიდან ჩამოტანილი ქვიშის მიერ ბუნებრივად აგებულ შემაღლებულ კალაპოტში მიაგელვებს თავის მძლავრ ყვითელ ტალღებს. ამ მხრივ, მდ. ჰუანხე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო მდინარეა, რადგან ბევრჯერ მომხდარა ისე რომ წყალდიდობისას, მდინარე ამოსულა კალაპოტიდან და რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან „დასხმია“ თავს დაბლამდებარე სოფლებსა და ქალაქებს.
მდინარე იანძის სამხრეთით, ასეულობით კილომეტრზეა გადაჭიმული ბრინჯის მინდვრები და ტერასები – ჩინეთის პეიზაჟის აუცილებელი ატრიბუტი, რომელიც ნაცნობია ჩვენთვის ჩინური მხატვრობიდან თუ კინოფილმებიდან. გაეროს მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო და საკვების ორგანიზაციის (Food and Agrivulture Organization, FAO) მონაცემებით, ჩინეთმა მიაღწია იმას რომ დედამიწაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის 10%-ზე აწარმოებს მსოფლიოს მარცველულის 25% და საკვებით უზრუნველყოფს მსოფლიოს მოსახელობის 20%-ს (!) ეს გახლავთ უდიდესი მიღწევა, მსოფლიოს საკვებით უზრუნველყოფის საქმეში.

გაგახსენებთ რომ გასული საუკუნის 1959-1962 წლებში, ჩინეთს თავს დაატყდა საშინელი შიმშილობა, რომელმაც ანჰუის, ჩუნცინის, სიჩუანის, ჰუნანისა და გუიჟოუს პროვინციებში, სხვადასხვა წყაროებით, 15-50 მილიონამდე ადამიანი შეიწირა!
ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ტერიტორია სამხრეთ-ჩინეთის მთიანეთს უკავია, რაც ხელს უწყობს ამ ადგილებში, რომელიც გამოირჩევა რბილი, სუბ-ტროპიკული ჰავით, ჩაის კულტურის ფართო განვითარებას. სწორად აქ შეიძლება ვნახოთ მარადმწვანე ტერასებზე გაშენებული ბუჩქნარი, სახელგანთქმული ჩინური ჩაის (ჩინური კამელია – ლათ. Camellia sinensis), ლუნ-ჯინის თუ უ-ლუნის უკიდეგანო პლანტაციები, რომელმაც რამდენიმე საუკუნის წინ მთელი მსოფლიო (მათ შორის საქართველოს ზღვისპირა სუბტროპიკული რაიონებიც) დაიპყრო და დღესაც, მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ არაალკოჰოლურ სასმელად რჩება.
როგორც ჩინელები ამბობენ, ჩინეთის სამხრეთში და აღმოსავლეთში (პროვინციები ხებეი, ძიანგსი, ანჰუი, გუანდუნი, ჰუნანი) ჩაი უხსოვარი დროიდან იზრდება და ჩაის, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურას, უკვე ორი ათას წელზე მეტია კრეფენ. ქრონიკების თანამხმად, ჩაის კულტურა, იაპონიაში და შემდეგ, კორეაში, ჩინეთიდან შევიდა მე-9 საუკუნეში, ხოლო შემდეგ, ჩაიმ თავისი ძველამოსილი მოგზაურობა „აბრეშუმის დიდი გზით“ აზიისა და ევროპის სხვა ქვეყნებისკენაც დაიწყო. შენიშვნა: საქვეყნოდ ცნობილი „ინდური ჩაი“, ინდოეთში მე-19 საუკუნეში გაჩნდა, როდესაც ბრიტანელებმა, ინდოეთის კოლონიზაციის შემდეგ, გადაწყვიტეს ინდური ჩაის მეშვეობით „შეეჩერებინათ“ ჩინური ჩაის მონოპოლია.
ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი, ტიბეტის მძლავრ, თითქმის 4000-4500 მ-ის სიმაღლის ზეგანს უკავია – ტიბეტის მთიანების საერთო ფართობი 2 500 000 კვ. კმ-ს აჭარბებს და სიდიდით იგი ბევრად მეტია, ვიდრე გრენლანდიის, ბორნეოსა ან ახალი გვინეის ფართობი!
ჩინეთის შემადგენლობაში შემავალ ტიბეტის უზარმაზარ მაღალმთიან ზეგანს მჭიდროდ და საზიაროდ ეკვრის ჩინეთის, პაკისტანის, ინდოეთისა და ნეპალის უმაღლესი მწვერვალები კ-2 (ჩოგორი, 8612 მ), მაკალუ (8485 მ), ლჰო-ცზე (8,516 მ) და ჯომოლუნგმა (იგივე ევერესტი, მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი, 8848 მ), რომელიც ჩინეთისა და ნეპალის საზღვარზე არის აღმართული. სწორედ აქ, ამ მაღალმთიან ზეგანზე იღებენ თავის სათავეებს მდინარეები ხუნა-ხე და იანძი, რომელბსაც მდინარის წყლები ყვითელ და აღმოსავლეთი ჩინეთის ზღვებში ჩააქვთ.
ჩინეთის გეოგრაფიაში აღსანიშნავია კუნძული ჰაინანი (ჩინ. „ჰაი-ნან“ 海- „ჰაი“ – ზღვის; 南 – „ნან“ – სამხრეთი, ლ.ა.), რომელიც ჩინეთის სამხრეთში, ჰონგ-კონგისა და მაკაოს სამხრეთით მდებარეობს, ჩინეთის თბილ სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში, ვიეტნამიდან მხოლოდ 300 კმ-ში. აქაური ფერმერებს მოჰყავთ ქოქოსი, ანანასი, მანგო, ფორთოხალი, სხვა ციტრუსოვნები, იჭერენ თევზს და მოიპოვებენ ზღვის მარგალიტს. კ. ჰაინანი სახელგანთქმულია თეთრქვიშიანი პლაჟებით და ქოქოსის პალმების ტროპიკული პეიზაჟებით, რაც მილიონობით ტურისტს იზიდავს მთელი წლის განმავლობაში.
ჩინეთის, როგორც „მიწის ცივილიზაციის“ (ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსის, არნოლდ ჯ. ტოინბის/Arnold J. Toynbee თეორიის მიხედვით სამყარო იყოფა „ზღვის“ და „მიწის“ ცივილიზაციებად, რომლებიც განვითარების თავისებურებების გამო, მუდმივად უპირისპირდებიან ერთმანეთს, ლ.ა.) წარმომადგენლის ტერიტორია, ათასწლეულების განმავლობაში განიცდიდა ცვლილებებს და დღეს, უზარმაზარი სახმელეთო სახელმწიფოს სახით წარმოგვიდგება. ჩინეთის ისტორიული განვითარებისას, ჩინეთის შემადგენლობაში უამრავი მონათესავე თუ სხვა წარმოშობის ხალხი და ეროვნება შევიდა, რომლებსაც დღეს,

უმეტეს შემთხვევაში, ავტონომიური მმართველობა აქვთ მინიჭებული ჩინეთის ცენტრალური მთავრობისგან. შესაბამისად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დღეს არ წარმოადგენს ჰომოგენურ ან უნიფიცირებულ სახელმწიფოს, მასში რეგისტრირებული 56 ეთნიკური ჯგუფი და ერი, რომელბიც ჩინეთის ფარგლებში ცხოვრობენ ჩინელებთან (ჩინ. „ჰან“ – ჩინელი, ლ.ა.) ერთად. ჩინეთის ხალხებიდან აუცილებლად გამოვყოფთ რამდენიმე ეთნიკურ რაიონს, რომლებიც ფართო ავტონომიით სარგებლობე. ესენია ხუთი მსხვილი ეთნიკური ავტონომია ჩინეთის ფარგლებში: 1) გუანგ-სი/ Guangxi, ვიეტნამის მიმდებარე მსხვილი რეგიონი ჩინეთის სამხრეთში, გუანგჟოუს/კანტონის დასავლეთით; 2) შიდა მონღოლეთი („ნეი მონგოლ“); 3) შიდა მონღოლეთის იმდებარე მცირე ზომის „ნინგსიას“ (Ningxia) ავტონომია, ჩრდილოეთში, ისლამის მიმდევარი ჩინელებით; 4) ტიბეტის მთიანი ზეგანის ავტონომია, ე.წ. “სი-ზანგ/Xi Zang” და 5) სინძიან- უიღურთა ავტონომიური მხარე, ჩინეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში, ყაზახეთისა და ყირგიზეთის საზღვარზე, სადაც ყაზახებისა და ყირგიზების მონათესავე, თურქულენოვანი ხალხი – უიღურები (ჩინ. „ვეი-ძუ“) ცხოვრობენ, რომლებსაც ჩინურს პარალელურად, არაბულის საფუძველზე შექმნილი ანბანი აქვთ და უმეტესწილად სუნიტი მუსლიმები არიან.
საინტერესოდ გვეჩვენება ჩინეთის ავტონომიების მცხოვრებთა დამოკიდებულება ჩინეთისა და ჩინური ენისადმი – მაგალითად, ჩრდილოეთ ჩინეთში ნინგსიას (Ningxia) ავტონომიაში მცხოვრები ხალხი, ჰუი, სხვა მათ მეზობელ ხალხებთან ერთად, მუსლიმები არიან, თუმც მათთვის მშოვლიურია ჩინერუ ენა და ჰანის ჩინელთა ცხოვრების წესები. ნინგსიასგან განსხვავებით, სინძიანის თურქულენოვანი უიღურები და ბუდისტი ტიბეტელები ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ „ჰანიზაციას“/„სინიზაციას“, ანუ ჩინელებთან ასიმილაციას, განსაკუთრებით მათ ავტონომიურ ტერიტორიებზე. ჩინეთის სახელმწიფოს რეაქცია ან პასუხი ამ მიმდინარეობებზე განსხვავებულია და ზოგან ასიმილაციის ზომებში, ზოგან კი – ჩინელების დემოგრაფიულ ექსპანსიაში გამოიხატება. ეს ღონისძიებები, ზოგიერთი მეცნიერისა და დემოგრაფიის სპეციალისტის მიერ, ცენტრალური მთავრობის ცენტრიდანული და ანტი-სეპარატისტული ტენდენციების პრეცენციად მიიჩნევა.
დღეს, ჩინეთის მთავრობა დიდ ყურადღება უთმობს (განსაკუთრებით დასავლეთის პროვინციებში, რომლებიც ჩინეთის პოლიტიკური და ეკონომიკური საკმაოდ შორს მდებარეობენ და შედარებით ნაკლებად არიან განვითარებულნი) „დასავლეთის დიდი განვითარების“ პროექტებს, რაც დასავლეთის პროვინციებში ცხოვრების პირობების მკვეტრად გაუმჯობესებას და საბაზო ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას ითვალისწინებენ. პროექტები არ შემოისაზღვრება მხოლოს გზების, ელექტოენერგიისა თუ წყლის მიეოდების ქსელებით, „დასავლეის დიდი პროექტები“ მოიცავს აეროპორტების, ავტობანებისა და დიდი ზომის საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო ფერმების მშენებლობას, სინძიანისა და ტიბეტის უმეტეწილად დაუსახლებელ ან მეჩხერად დასახლებულ, ძნელად მისადგომ მთიან რაიონებში.
აქვე უნდა აღინიშნოს რომ უიღურების, ტიბეტელების ძირითადი ნაწილი, სხვა უფრო მცირე ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად (გუანსის ჟუანგები, ნინგსიას ჰუი, მანჯურები ძილინის, ჰეილუნციანის და ლიაონინის პროვინციებიდან, მონღოლები, მიაო, კორეელები, დონგები და იაო) ხშირად „განვითარებას“ ჰანის ჩინელების (ჩინეთის ძირითადი მოსახლეობა) დემოგრაფიუოლ ექსპანსიას უკავშირებენ და შიშობენ რომ ეს ჰანის ჩინელების ეკონომიკურ და პოლიტიკურ დომინაციას გამოიწვევს მათ ავტონომიურ რაიონებში თუ ოლქებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის

შორეული პროვინციების ყველა დედაქალაქი ჩქაროსნული, თანამედროვე სარკონიგზო მაგისტრალების არის დაკავშირებული ჩინეთის დედაქალაქ, პეკინთან. აქ გთავაზობთ ჩინეთის პროვინციების დედაქალაქების დასახელებს და მათ დაცილებას დედაქალაქიდან: ქ. ურუმჩი (სინძიან-უიღურების ავტონომიური პროვინცია, 2400 კმ პეკინიდან), ქ. ჩენგდუ (, სიჩუანის პროვინცია, 1800 კმ პეკინიდან), ქ. ლჰასა (ტიბეტის ავტონომიური პროვინცია, 3100 კმ პეკინიდან), შიდა მონღოლეთის ავტონომია, ქ. ჰუჰ-ჰოტო (500 კმ პეკინიდან), ქ. ჰარბინი (რუსეთის მოსაზღვრე ჰეილუნციანის პროვინცია, ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ყოფილი მანჯურია – 1200 კმ პეკინიდან) და ნან-ნინი (გუანსის ავტონომიური პროვინცია ჩინეთის სამხრეთი პროვინცია, ვიეტნამისა საზღვარზე, 2300 კმ პეკინიდან). აღსანიშნავია რომ უმეტეს შემთხვევაში (გარდა პეკინი-ლჰასას/ტიბეტის მარშრუტისა, რომელიც ზოგან 5 000 მ სიმაღლეზე გადის!), ჩინური სარკინოგზო შემადგენლობის სიჩქარე, ქვეყნის დიდი ქალაქებს შორის მოგზაურობისას, საათში საშუალოდ 250-350 კმ აღწევს!